საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2324-03
20/08/2020

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020–2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს №2226-03 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, რექტორის 2020 წლის 17 აგვისტოს N1283-02 ბრძანების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2020 წლის 19 აგვისტოს N7345-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020–2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 აგვისტოს №2226-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში, კერძოდ მე-10 ნომრად მითითებული სოციოლოგიის პროგრამის საფასურის ნაწილში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა, თვალსაჩინო ადგილზე ბრძანების გამოკვრის გზით;
4. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი